პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 16 ივლისი 1925 წ.

5 წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

158 (856) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## მტერი მუშაობს. ჩვენც ვიმუშაოდ მისთვის ღირსეული პასუხის გასაცემად.

ინგლისის იმპერიალიზმი კვლავ განაგრძნობს თავის მტრულ პოლიტიკას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. თუმცა ჯერ-ჯერობით მისი ცდები შექმნას ჩვენ წინააღმდეგ ანტი საბჭოთა ფრონტი მსხვილ და წვრილ იმპერიალისტურ სახელმწიფოებისაგან უნაყოფოდ სრულდება, მაგრამ ის სრულიადაც არ სტოვებს ჩვენს წინააღმდეგ გალაშქრების აზრს.

ამას გველაპარაკება სინამდვილე. დღეს რადიო გადმოგვცემს, რომ ინგლისი აპირებს ბალტიის ზღვაზე შექმნას თავისი საზღვაო ბაზა (სადგომი). ამ მიზნით მას აუღია იჯარის სახით ესტონეთის მთავრობისაგან კუნძულები დაგე და ეზელი. იმავე ცნობის თანახმად ბაზის აშენებას ინგლისი შეუდგება რამოდენიმე თვეების შემდეგ.

რას გველაპარაკება ეს ცნობა? რისთვის. უნდა ბალტიის ზღვაზე ინგლისს საზღვაო ბაზა თავის დრედნოუტებისათვის?

პასუხი ერთია: საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად. ინგლისის იმპერიალიზმი გამალებით ემზადება მომავალ შეტევისათვის ჩვენზე. ჯერ-ჯერობით მას ეს არ უხერხდება, მაგრამ როგორც სჩანს ეს გარემოება მას არ აღონებს და წინანდელი ქინით განაგრძობს თავის მტრულ მუშაობას.

ეს ჭეშმარიტება კარგად უნდა შეიგნონ ჩვენმა მუშებმა და გლეხებმა.

უპირველეს ყოვლისა ამის შესახებ მუდამ უნდა ახსოვდეთ ჩვენს წითელ არმიელებს.

მიუხედავად იმისა, რომ იმპერიალიზმი ამ ხანად ვერ ბედავს საბჭოთა კავშირზე თავდასხმას, ის მაინც გამალებით ემზადება ამ ნაბიჯისათვის. როცა იქნება თავის მუქარას ის კიდეც მოიყვანს სისრულეში.

ამიტომაც ჩვენ მზად უნდა დავხვდეთ მათ.

ერთ წუთს არ უნდა შესუსტდეს მუშაობა წითელი არმიის საბრძოლო უნარის ასაწევად. თითეული წითელი არმიელი უნდა გაიმსჭვალოს იმ აზრით, რომ მტერი ჩვენ ვერას დაგვაკლებს თუ ძლიერი ვიქნებით. ძლიერება კი სამხედრო მომზადებაშია. გაასკეცებული ენერგიით და ძალით წითელ არმიელები და ჩვენი ცვალებადელები უნდა დაეწაფონ სამხედრო საქმის შესწავლას და რევოლიუციონური დისციპლინის განმტკიცებას.

კარგად განვამტკიცოთ ჩვენი რიგები და გავაძლიეროთ წითელი ფლოტი და წითელი არმია. მაშინ არავითარი საზღვაო ბაზა და იმპერიალიზმის თავდასხმა არ იქნება ჩვენთვის საშიში.

მტერს ღირსეულ პასუხს გავსცემთ.

## მოსკოვიდან პეკინამდე.

1925 წლის 10 ივნისი ახალ ფურცლად შევა საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთის ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცების ისტორიაში. ამ დღეს საბჭოთა ექვსი თვითმფრინავი, ამბედავ რუს მფრინავთა დამოგზაურთა კადრით გაფრინდა მოსკოვიდან ძნელსაჰაერო მოგზაურობის შესაგ ზ რუდლებლად ციმბირის ვრცლეს გაუვალ ტყეებითა და მონღოლეთის უდაბნოით ჩინეთის დედა-ქალაქ პეკინში.

ამ მოგზაურობის იდეა ეკუთვნის საბჭოთა ავიოქიმიის საზოგადოებას, რომლის რიგებში ითვლება ათასობითა და ათიათასობით წვრილპჭ ოთა კავშირის ყველა ნაწილში.

გადაფრენის მნიშვნელობა დიდია. საქმე ისაა, რომ ის თვითმფრინავები, რომლებმაც ჩინებულად გაიარეს მოსკოვიდან პეკინამდი 7.000 კილომეტრი მანძილი, დამზადებული არიან ჩვენს საკუთარ ქარხნებში. არც ისე დიდი დროა მას შემდეგ, როცა ომით განადგურებულ საბჭოთა რუსეთს არ შეეძლო გამოეყენებია თავის სახარგებლოდ ავიაციის უკანასკნელი მიღწევები.

5 წლის უკან ჩვენს წითელ არმიას ისე ესაჭიროებოდა, თუ ნდაც ცუდი ჰაეროპლანიც, რომ თავი დაეცვა თავით ფეხებამდის შეიარაღებულ მტრებისაგან.

სულ სხვაა დღეს. საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა რამოდენიმე წლის მშვიდობიანი აღმშენებლობის განმავლობაში შესძლეს თავიანთი ნაოფლარი გროშებით შექმნათ თუმცა პატარა, მაგრამ საკმაოდ მაგარი და ძლიერი საჰაერო ფლოტი. ქვეყნის თავდაცვის საქმეს გარდა ჩვენი საბჭოთა თვითმფრინავები ფართე სამსახურს უწევენ სახელმწიფოს საფოსტო, სამეურნეო და სხვა დარგებში. ჩვენი ნორჩი ავიაციის ეს ახალი გამარჯვება ასეთ ძნელ საჰაერო გზაზე უეჭველია, დიდი გამოცდილებას მისცემს ჩვენს მფრინავებს და გამობრძმედს მათ ახალი მიღწევებისთვის. ხოლო მთავარი ისაა, რომ ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდები საბჭოთა ქარხნებში დამზადილმა თვითმფრინავებმა.

მოსკოვიდან პეკინში გადაფრენა მნიშვნელოვანია კიდევ იმით, რომ ის ერთხელ კიდევ ამტკიცებს ჩვენი კავშირის მშრომელთა დიდ სიყვარულს აღმოსავლეთის ხალხისადმი.

ძლივს მოასწრო საბჭოთა ჰაეროპლანმა ფეხის ადგმა, რომ საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა მოაბრუნეს ის „პირით აღმოსავლეთისაკენ“. პროლეტარული რევოლიუციის მიერ გათავისუფლებული ყოფილი მეფის იმპერიის ერები სცდილობენ გადალახონ ყოველგვარი დაბრკოლება მჭიდრო კავშირისა და მეგობრობის დასამყარებლად აღმოსავლეთის ერებთან, ვინაიდან იქ, წყნარი ოკეანის ნაპირებზე სცხოვრობს უფრო მეტად დაჩაგრული კაცობრიობის ნაწილი, ჩვენი 400 მილიონიანი მეზობელი—ჩინეთი.

მას სჭირდება ჩვენი მატერიალური და იდეური დახმარება, რათა რუსეთის ერებსავით განახორციელოს ეროვნულ განთავისუფლების ლოზუნგი.

ამრიგად ჩვენი ავიაციის ახალი გამარჯვება არამც თუ მხოლოდ ამტკიცებს ეკონომიურ და პოლიტიკურ ურთიერთობას აღმოსავლეთის მდიდარ ქვეყანასთან, არამედ ჰაეროპლანების ფრთებით შეაქვს ჩინეთში თანაგრძნობა ჩინეთის ხალხის ეროვნულ გათავისუფლებისადმი.

ჩინეთის მშრომელმა მასებმა დაიწყეს განმათავისუფლებელი გმირული ბრძოლა, პირველყოვლისა, უცხოელი უღლის მოსაშორებლად.

რუსეთის ავიაციის პიონერთა სახით, რომელმაც პირველმა გაჰკვეთა საჰაერო გზა მოსკოვიდან პეკინამდი, ჩინეთის ხალხი ხედავს თავის ერთად-ერთ მეგობრის, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს.

რუსეთის ავიაციის ახალ გამარჯვებაზე ძლიერი გამოძახილი—ეს იქნება ჩინეთის მასების საბოლოო გამარჯვება თავის მჩაგვრელებზე.

ხ. გუბერმან.

# ახალი რადიო-ამბები

## იაპონიის ელჩის ჩამოსვლა მოსკოვში.

### საზეიმო შეხვედრა.

14 ივლისს მოსკოვში ჩამოვიდა იაპონიის ელჩი ტაკიხი ტანაკა. სადგურის ბაქანზე მას შეხვდა საპატიო ყარაული. ელჩთან ერთად ჩამოვიდა საელჩოს შემადგენლობა—18 კაცი.

## საუბარი იაპონიის ელჩთან.

როსტას თანამშრომელთან საუბარში იაპონიის ელჩმა განაცხადა: „იაპონიას სურს ეკონომიური დაახლოება საბჭოთა კავშირთან. ჩემი ამოცანაა ხელი შეუწყო ეკონომიურ ურთიერთობის გაძლიერებას. ჩემი პირველი ამოცანაა იაპონიის კონცესიების მოგვარება სახალინზე. ჩემთან მოვიდა სპეციალური დელეგაცია, რომელსაც განზრახული აქვს აწარმოოს მოლაპარაკება ხელშეკრულების საბოლოოდ მოსაგვარებლად.

მე მეტად კმაყოფილი ვარ გულითადი შეხვედრით. მადლობას ვწირავ მთავრობისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს იმ ყურადღებისათვის ჩვენდამი, რომელმაც წაუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.“

## ინგლისის ფლოტის ბალტიის ზღვაში შემოსვლის მნიშვნელობა.

საქმესთან გაცნობილი ჰელსინგფორსის წრეები, უკავშირებენ ინგლისის ფლოტის შემოსვლას ბალტიის ზღვაზე,—ინგლისის ძველ ზრახვებს გაენადდებია გეგმები ბალტიის ზღვაზე საზღვაო ბაზის მოწყობის შესახებ.

ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრსა და ინგლისის მთავრობას შორის უკვე მოხდა თითქოს შეთანხმება დაგესა და ეზელის ინგლისზე იჯარით მიცემის შესახებ. ესტონეთმა უნდა შეინახოს სუვერენიტეტი ორივე კუნძულებზე. გეგმის განხორციელებას, როგორც სჩანს შეუდგებიან რამოდენიმე თვეში.

## ლენინგრადში ჩამოვიდა გერმანიის მუშათა დელეგაცია.

ლენინგრადში ჩამოვიდა გერმანიის მუშათა დელეგაცია. კრონშტადტის მეზღვაურები მხურვალედ მიესალმა დელეგაციას. დელეგაციამ უპასუხა ინტერნაციონალის სიმღერით გერმანულ ენაზე.

დელეგაციის შემადგენლობაშია 38 მუშა: 16 კომუნისტი, 10 სოციალ-დემოკრატი, 12 უპარტიო.

დელეგაციის თავმჯდომარემ ფრეიბერგერმა როსტას კორესპონდენტს გააცნო, თუ როგორ შესდგა დელეგაცია:

„უკანასკნელ წლებში—განაცხადა მან—ბურჟუაზიულ ქვეყნებში დადიოდა ხმები საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის მძიმე მდგომარეობის შესახებ. პირველად გერმანიის მუშებს ეს მართალი ეგონათ. ხოლო მას შემდეგ, როცა ინგლისის დელეგაციამ გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირში თავის მოგზაურობის ანგარიში—გერმანიის მუშები დარწმუნდნენ, რომ ყოველივე ცნობები ბურჟუაზიულ გაზეთების მხოლოდ ცილისწამება ყოფილა. და მაშინ ჩვენ გადავსწყვიტეთ საბჭოთა კავშირში წამოსვლა, რომ პირადად დაგვენახა თქვენი ქვეყნის მდგომარეობა“.

ამას გარდა ფრეიბერგერმა აღნიშნა გერმანიის მუშების მძიმე მატერიალური და მორალური მდგომარეობა.

ლენინგრადის ნავთსადგურში დიდძალი ხალხი და მუშები შეეგება დელეგაციას და მიიღო ისინი ინტერნაციონალის სიმღერით.

## ჯერ-ჯერობით 75 სასიკვდილო განაჩენი.

სოფიის სასამართლომ, ტაძრის აფეთქების საქმეზე, დღემდის გამოიტანა 75 სასიკვდილო განაჩენი. უმეტესობა განაჩენის სისრულეში მოყვანა შეჩერებულია სამხედრო—საკასაციო სასამართლოს ინიციატივით, რომელმაც საბრალმდებლო მასალის ერთი ნაწილი უსაფუძლოდ სცნო.

## მხურვალე სალამი მშრომელთა ინტერესების დამცველს.

ბულგარეთის კომპარტიის ცეკას პროცესზე კაბაკჩიევმა წარმოსთქვა დამცველი სიტყვა, რომელიც ორი დღე გაგრძელდა.

ამის გამო პასუხისგებაში მიცემულმა კოლაროვმა და დმიტროვმა გაუგზავნეს მას შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„სოფია, საოლქო ციხე, კაბაკჩიევს. ჩვენი მხურვალე სალამი—კომუნისტურ პარტიისა და მშრომელი ხალხის საქმეების ვაჟკაცურად დაცვისათვის. განაჩენი კიდევ უფრო გაამტკიცებს მორალურ კავშირს ხალხის მასებსა და მათ თავგანწირულ დამცველებს შორის“.

# საბჭოთა კავშირში

## საავტომობილო შეჯიბრი.

ლენინგრადის ნავთსადგურში მოვიდა 10 ავტომობილი (ფიატის ფირმის) საკავშირო შეჯიბრში მონაწილეობისათვის.

ამ დღეებში ჩამოვა ცნობილი იტალიელი შოფერი კანიო.

## საბჭოთა კავშირი ჩაგრულთა თავშესაფარია.

### გაურბიან მემამულეების ტერორს.

მოზირის მაზრაში გამოჩნდა მრავალი, პოლონეთიდან გადმოხვეწილი გლეხი, რომლებიც გამოჰქცევიან პოლონეთის მემამულეთა აუტანელ ტერორს.

გადმოხვეწილები მიმართავენ თხოვნით საბჭოთა ორგანოებს—დაუთმონ მათ მიწები.

# საქართველოს ცაკის მეორე სესია.

## პირველი სხდომა.

14 ივლისს, დილის 11 საათზე სასახლეში გაიხსნა სრულიად საქართველოს ცაკის მეორე სესია.

სხდომას ხსნის ამხ. ფილიპე მახარაძე.

### ამხ. მახარაძის სიტყვა.

სესიის გახსნისას ამხ. მახარაძე ამბობს სიტყვას, რომელშიაც იგი მოკლეთ ჩერდება კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე და ამასთან დაკავშირებით იმ საკითხებზე, რომლებიც უნდა განიხილოს სესიამ.

საერთაშორისო მდგომარეობაში, აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ძლიერ გამწვავდა ჩვენი დამოკიდებულება ბურჟუაზიულ ქვეყნებთან. ისინი იმუქრებიან ჩვენთან დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტით და სხვა.

ბურჟუაზია მრავალ ხრიკებს მიმართავს, რომ ომი გამოიწვიოს და ომის მიზეზები კი ჩვენ მოგვახვიოს თავზე.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ბულგარეთში მომხდარ ამბებს, მაროკოს ომს და ბოლოს იგი ვრცლათ ჩერდება.

### იმპერიალისტების მოთხოვნილებაზე

კომინტერნის მოსკოვიდან სხვაგან გადაყვანის შესახებ. მათ ეშინიათ კომინტერნის და ჰგონიათ, რომ თუ იგი მოსკოვში არ იქნება, მაშინ უფრო შესუსტდება ის პროპაგანდა, რომელიც სწარმოებს ყველგან იმპერიალიზმის წინაალმდეგ. მაგრამ უნდა ითქვას რომ ეს აგიტაცია უფრო გაადვილებულია მათი უმგვანო საქციელით. ამას შეურმეტყველურად ამტკიცებს ჩინეთის ამბები. იმპერიალისტებმა გასთელეს ჩინეთში ადამიანობის უბრალო უფლებები. იქ ყველა სრულუფლებიანი მოქალაქეა გარდა ჩინელისა. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ჩაგრულ ერებს დაეტყოთ გამოფხიზლება და ჩინეთის ხალხიც აღდგა მჩაგვრელთა წინაალმდეგ.

მეტად დამახასიათებელი მოვლენაა აგრეთვე საბჭოთა კავშირში

### უცხოელ მუშების დელეგაციების ჩამოსვლა.

ეს ამტკიცებს, რომ ევროპის მუშათა კლასი დაინტერესებულია საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებით ქვეყნის აღმშენებლობითი საქმეში. ევროპის მუშათა კლასის დაინტერესებას ჩვენ მეტად დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ. ამ მხრივ ძლიერ დიდი მნიშვნელობა ეძლევა ჩვენს შინაურ მუშაობას ყველა ფრონტებზე.

### ჩვენი ნაკლულევანებანი.

ჩვენ გვაქვს ნაკლულევანებანიც. ამაზე გაჩუმება არ ვარგა. ავიღოთ თუნდაც სოფლის ცხოვრება: გლეხკომები, მიწის საკითხი, კოოპერაცია, თემსაბჭო. აქ ყველაფერი არაა რიგზე. ჩვენი სოფლის ცხოვრებაში ზოგიერთ შემთხვევებში ბოროტმოქმედებათაც აქვთ ადგილი.

სოფლად ძლიერ მოიკოჭლებს რევოლიუციონური კანონიერება და სოფლის საბჭოს აპარატი. ეს უკანასკნელი უსათუოდ საჭიროებს გაცხრილვა-გაწმენდას. უკანასკნელ ხანებში ჩვენ გლეხობას ემჩნევა დიდი აქტივობა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს თუ ჩვენ ამ აქტივობას ვერ უხელმძღვანელებთ შესაფერისათ.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვის შემდეგ, სესიამ მიიღო დღის წესრიგი და რეგლამენტი, რის შემდეგაც სესიამ აირჩია კომისიები სხვა და სხვა მოხსენებებიდან გამომდინარე დებულებათა დასამუშავებლათ.

## მეორე სხდომა.

მეორე სხდომაზე, რომელიც გაიხსნა საღამოს ექვს ნახევარ საათზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ვარძიელი

### სისხლის სამართლის კოდექსის შესახებ.

მომხსენებელი განმარტავს, რომ ამჟამად მომქმედი სისხლის სამართლის კოდექსი შემუშავებულია 1922 წელს და ის ეხლა საჭიროებს ზოგიერთ ცვლილებებს, რომლებიც გამომდინარეობენ კოდექსის საერთო ნაწილიდან და სადაც განმარტებულია საბჭოთა დამსჯელი პოლიტიკა.

ეხლანდელ კოდექსში არსებული სიტყვა დასჯა „უნდა შეიცვალოს ახალ ტერმინათ: „სოციალური თავდაცვა“.

შემდეგ მომხსენებელი ეხება აგრეთვე სამოქალაქო სამართლის კოდექსის ცვლილებებს და სადგილ-მამულო სამოსამართლო კომისიებს.

ამხ. ვარძიელის მოხსენების შემდეგ მეორე სხდომა დაიხურა.

# წიგნის კვირეული.

## პოლიტსკოლის ბიბლიოთეკა.

წიგნის კამპანიის ჩატარების შესახებ ჩვენმა სკოლამ დაგვიანებით მიიღო ცნობა და ადგილობრივ მეორე რუსულ ლეგიონთან ერთად შეუდექით მის ჩატარებას.

გავაკარით ხელით ნაწერი ლოზუნგები და პლაკატები წიგნის მნიშვნელობაზე. მონაწილეობა მივიღეთ საამისოთ მოწყობილ მიტინგში და სხვა.

ამას გარდა, ჩვენი სკოლის საშეფო სოფელ დიდ თონეთში, კვირას 12 ივლისს შესაფერი ლოზუნგებით, პოპულიარული წიგნებით, გაზეთებით გავეშურეთ და ეს ლიტერატურა, სკოლის ბიბლიოთეკისთვის თავისი შინაარსით გამოუსადეგარი ადგილობრივ გლეხებში დავარიგეთ... მომავალში კიდევ ავალთ ამავე მიზნით იქ. საერთოთ, რაც კამპანიის მიზანია, 100 პროც. ჩაწერევა მკითხველათ ბიბლიოთეკაში—უკვე მიღწეულია. კურსანტების 60 პროც. მოსდით ყოველდღიური გაზეთები საკუთრათ.

ამ კამპანიასთან დაკავშირებით, ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკის მთავარი ამოცანა არის ბიბლიოთეკის გაწმენდა უვარგის წიგნებიდან. დღევანდელ ჩვენ ლიტერატურულ ქონებიდან დაახლოებით 2.500—3 ათასი წიგნი გამოსარიცხი, მაგრამ ეს დიდ მუშაობას მოითხოვს და ამის მოწყობა შესაფერისი კომისიის დანიშვნით შესაძლებელია მხოლოდ ტფილისში...

გლეხებთან კავშირისთვის გვჭირდება შესაფერი ლიტერატურა, რაიც არა გვაქვს. ამას გარდა—არ მიგვიღია არც ერთი ლოზუნგი „წიგნის კვირეულზე“, მაშინ, როცა რუსული ლეგიონი ღებულობს ასეთებს ქართულად. აქ აუარებელი რუსული ლიტერატურა მოდის ნაწილებში გასავრცელებლად „წიგნის კვირეულთან“ დაკავშირებით და ქართულ წიგნზე, მიუხედავათ მოთხოვილებისა-ხმას არავინ იღებს...

კარგია არ დაგვივიწყებდეს ცენტრი... გლეხებთან კავშირისთვის საჭიროა გასაგები წიგნები; ასეთები არის ტფილისში და საჭიროა ზრუნვა მათ დასაძრავათ.

გრ. შავგულიძე.

# ქიმიისა და სამხედრო ქიმიურ ნივთიერებათა მნიშვნელობა სასოფლო მეურნეობაში.

**სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებით დაპატივების შედეგები.**

თუ რამდენად დიდია სხვადასხვა გვარ ქიმიურ მინერალურ განოყიერებათა მნიშვნელობა მცენარის განვითარებისა და ზრდისთვის და, მაშასადამე, მოსავლის გაძლიერების საქმეში, შეგვიძლია დავინახოთ იმ ნახატებიდან, რომლებიც მოგყავს აქვე. ნახატზე 1 გამოხატულია მცენარეები, რომლებიც გაზრდილი არიან გამოფიტულ, უაზოტო ნიადაგზე, შემდეგ—სხვადასხვა აზოტოვანი ნივთიერებით განოყივრებულ ნიადაგზე.


ნახ. 1

აქ გამოხატული არიან: მცენარე გ გაზრდილი გამოფიტულ ნიადაგზე და მცენარე ბ და ა გაზრდილი აზოტოვან ნივთიერებებით დაპატივებულ ნიადაგზე

ნახატზე 2 ნაჩვენებია ფოსფოროვან ნივთიერებით განოყივრებისა ანუ ფოსფორიტების გავლენა მცენარის ზრდაზე (შვრია).


ნახ. 2

მცენარე გ, რომელიც ნაჩვენებია ნახატზე, ვერ ღებულობდა ზრდის დროს ფოსფოროვან ნივთიერების საკმაო რაოდენობას, და ამიტომაც გაიზარდა სუსტი, ხოლო მცენარეები ბ. და ა, რომლებიც გაიზარდენ განოყიერებულ, ფოსფორით მდიდარს ნიადაგზე, გაიზარდენ მაღალი და ღონივრები.

ასევე თითქმის კალის მნიშვნელობაზე მოსავლის საქმეში. ნახატზე 3 ნაჩვენებია განუვითარებელი, სუსტი და დასნეულებული მცენარე (II) რომელიც აღმოცენებულა კალის ნივთიერებას მოკლებულ ნიადაგზე;


ნახ. 3

ეს მცენარე, ვინაიდან კალის ნივთიერება მას არ ქონდა საზრდოდ, დასნეულდა, ვერ განვითარდა და გაიზარდა.

იმავე მცენარის პირველი ექზემპლიარი (I) ღებულობდა საჭირო მასაზრდოებელ ნივთიერებას, კარგად ვითარდებოდა და გაიზარდა მაგარ მცენარედ.

ბოლოს გვიჩვენებს თუ რა გავლენას ახდენს მცენარეების (მოსავლის) განვითარებაზე შერეულ დასაპატივებელ ნივთიერებათა ხმარება.

ნახატზე ნაჩვენებია მცენარე (5), რომელიც გაზრდილა აზოტოვან და ფოსფოროვან ნივთიერებით დაუპატივებელ ნიადაგზე, ნახატი (4)—გაზრდილი აზოტოვან და კალიან ნივთიერებით დაპატივებულ ნიადაგზე, მცენარე (3)—ფოსფოროვან და კალიან ნიადაგზე და, ბოლოს, მცენარე (1), რომელიც გაზრდილა აზოტით, ფოსფორით და კალით დაპატივებულ ნიადაგზე.

ლ. ვორონოვი.

# სიმართლე მოსვენებას არ აძლევს სოციალ-მოღალატეებს.

ინტერესი საბჭოთა კავშირის ნახვისა დიდათ იზრდება დასავლეთ ევროპის მუშებში.

ძალაუნებურად კაპიტალისტური ქვეყნების მუშები მიისწრაფვიან საბჭოთა კავშირის ნახვისაკენ. ისინი გრძნობენ, რომ ბურჟუაზია და სოციალ-გამყიდველები არ ელაპარაკება მათ სიმართლეს და ყალბ ცნობებს აწვდიან. მუშებს კი სრული სიმართლის გაგება სურთ საბჭოთა რესპუბლიკების ცხოვრების შესახებ. და აი თავისი სურვილის დასაკმაყოფილებლად ისინი გზავნიან თავისი მუშურ დელეგაციებს. უკვე რამდენიმე ასეთი დელეგაცია ესტუმრა საბჭოთა ქვეყანას: ინგლისიდან, საფრანგეთიდან, ბელგიიდან.

ახლა მუშურ-გლეხურ რესპუბლიკას ეწვია გერმანიის მუშათა დელეგაცია. როგორც ვიცით გერმანია დიდი სამრეწველო ქვეყანაა, სადაც მრავალ მილიონიანი პროლეტარიატია.

გერმანიის პროლეტარიატის დიდი უმრავლესობა დღემდი გამცემლური მეორე ინტერნაციონალის გავლენის ქვეშ იმყოფება.

გერმანელი მენშევიკები ყოველივე ღონისძიებას ხმარობენ, რომ თავის გავლენის ქვეშ იყოლიონ პროლეტარული მასები. მაგრამ მიუხედავათ მათი ცდებისა, გერმანიის მუშათა კლასი დღითი დღე რწმუნდება მათ გამცემლობაში და მიეშურება კომპარტიის დროშის ქვეშ. გერმანიის სოციალ-დემოკრატია და მისი გაზეთები სასტიკად ილაშქრებენ საბჭოთა რესპუბლიკების წინაალმდეგ.

ვინ მოსთვლის იმ აუარება ცილისწამებებს და ყალბ ცნობებს, რომლებსაც ჩვენ შესახებ ავრცელებენ ისინი, რომ დააშინონ თავისი ქვეყნის პროლეტარიატი რევოლიუციით და ხელი აალებინონ მას კაპიტალისტების წინაალმდეგ ბრძოლაზე.

მაგრამ გერმანიის პროლეტარიატიც არც ისე ბრმაა, რომ ყველაფერი დაუჯეროს კაპიტალის მოციქულებს. მასაც სურს თავისი თვალით ნახოს საბჭოთა კავშირი და გაიგოს მისი სინამდვილე.

გერმანიის პროლეტარიატის სურვილს დიდათ შეუწყო ხელი ლენინგრადის მუშების მიპატიჟებამ.

გერმანიის მუშების გადაწყვეტილებამ თავზარი დასცა გერმანელ მენშევიკებს. „მათ აღშფოთებას არ ქონდა საზღვარი. მენშევიკები შეეცადენ ხელი შეეშალათ ამ დელეგაციის გაგზავნისათვის. რა საზიზღარ ხერხს არ მიმართეს მათ ამ მიზნით.

ჯერ დაუწყეს რწმუნება მუშებს, რომ „როგორც კი მიხვალთ რუსეთში მყისვე დაგაპატიმრებენ და ისეთივე ამბავს დაგმართებენ, რაც სამ გერმანელ ახალგაზრდასო“. ამით არაფერი არ გაუვიდათ. მენშევიკებმა მეორე ხერხს მიმართეს „თქვენ მოსკოვის ფულით და მისი ხარჯით მიემგზავრებითო“.

ამით სოციალ-გამყიდველებს სურდათ ჩირქი მოეცხოთ დელეგაციის წევრებისათვის. მაგრამ არც ამ საზიზღარ ცილისწამებამ არ გასჭრა—მუშათა დელეგაცია ენერგიულად ემზადებოდა გასამგზავრებლად და პროლეტარულ მასების სურვილი საბჭოთა კავშირში თავისი დელეგაციის გაგზავნისა უფრო იზრდებოდა.

გამგზავრების დღეც დადგა. ზღვახალხი მიასკდა იმ ადგილს, სადაც გამოსათხოვებელი მიტინგი უნდა მოწყობილიყო წამსვლელებისათვის. მუშების სიმრავლის გამო ერთის მაგიერ სამი მიტინგი გაიმართა. აქაც უკანასკნელად სცადეს თავისი ბედი მენშევიკებმა. რა რიგ არ არწმუნებდნენ ისინი თავისი პარტიის წევრებს დელეგაციის შემადგენლობიდან დაბრუნებულიყვენ უკან, მაგრამ არაფერი არ გამოუვიდათ. მუქარითაც კი მიმართეს, მაგრამ არაფერი არ ეშველა. აზღვავებული მუშათა მასების აღფრთოვანებული ყიჟინით გაცილებული დელეგაცია გამოემგზავრა ჩვენსკენ.

უკვე ზემონათქვამიდან ნათლად სჩანს მთელი მოღალატური ბუნება სოციალ-დემოკრატიის.

რატომ აშინებდა ის მუშათა დელეგაციას?

იმიტომ, რომ მენშევიკებს არ უნდათ მუშებმა სიმართლე გაიგონ საბჭოთა ქვეყნის შესახებ. სოციალ-გამყიდველებმა კარგად იციან, რომ მათ მიერ მოტყუებული მუშები, როცა დაინახავენ საბჭოთა კავშირის ცხოვრების ნამდვილ სურათს, სასტიკად გამოამჟღავნებენ მათ ცილისწამებებს და სიყალბეს. ეს კი გამოიწვევს სოციალ-დემოკრატიის გავლენის დაცემას მუშებში და კომპარტიის ავტორიტეტის ზრდას.

გერმანელ სოციალ-დემოკრატებს რისხვასავით ეშინიათ სიმართლის, მაგრამ მას ვერსად ვერ გაექცევიან. მუშები კი მუდამ სიმართლეს ეძებენ. ამიტომაც იყო, რომ სოციალ-დემოკრატები თავგამოდებით შეებრძოლენ მუშების დელეგაციის გაგზავნას, მიუხედავათ იმისა, რომ დელეგაციის შემადგენლობის 2-მესამედი სოციალ-დემოკრატებია. და ეს უკანასკნელები მაინც წამოვიდნენ საბჭოთა კავშირში, მიუხედავად იმისა, რომ პარტიამ მათ არ მისცა ამის ნება. ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ გერმანიის მუშათა დელეგაცია, როცა მოინახულებს საბჭოთა კავშირს, დაწვრილებით გაეცნობა მისი ცხოვრებას და შემოქმედებითი მუშაობას, მაშინ მისი წევრები სოციალ-დემოკრატები თვით მოასწრებენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიიდან გასვლას, სანამ მათ გამორიცხავდენ. ვინაიდან სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ იძულებულს გახდის მათ დასტოვონ ის პარტია, რომელსაც გათახსირების, გამცემლობის და სიყალბის ბეჭედი აზის.

—ე.

# ჩვენს ნაწილებში.

## ჩვენი წრეების მუშაობა.

5-თე ლეგ. 3-მე ათასეული.

ათასეულში თავიდანვე ჩამოყალიბებული იქნა სხვა და სხვა წრეები, რომლებიც განუწყვეტლად აწარმოებდენ მუშაობას.

კარგად არის მოწყობილი სპორტ-წრე. ხელმძღვანელი გამოცდილი და მონდომებულია მუშაობაზე.

მეცადინეობა სისტემატიურად სწარმოებს. წრეში უმთავრესად ვსწავლობთ ფეხბურთაობას, სხვა და სხვა ვარჯიშობას და სხვა. იმედი გვაქვს წრე მალე დაიჭერს ერთ საუკეთესო ადგილთაგანს ქართული ნაწილების სპორტ-წრეებს შორის.

ათასეულში დაარსებულია აგრეთვე დრამწრე, რომელიც ენერგიულად ეწევა თავის მოვალეობის შესრულებას. კარგახანია წარმოდგენა არ დადგმულა ჩვენს კლუბში. წრე მხოლოდ მზადების პერიოდში იმყოფებოდა აქამდე.

იმედია ეხლა გვაჩვენებს თავის მუშაობის ნაყოფს და დარწმუნებული ვართ შესაფერისადაც იქნება ის გამართლებული.

დანარჩენი წრეები ლეგიონში მართალია არსებობენ, მაგრამ არ სჩანან ფაქტიურად. მუშაობა მათში თითქმის აღარ სწარმოებს ამ უკანასკნელი ხნის განმავლობაში, რასაც საჭიროა ყურადღება მიაქციონ ხელმძღვანელებმა და აამოქმედონ ისინი.

ასე უმოქმედოთ გაჩერება დაუშვებელია.

სამხკორი 121.

## 4-ხე ლეგ. სამნეო ასეულის ცხოვრებიდან.

7 ივლისს შესდგა 4 ლეგიონის სამნეო ასეულის გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1. ტერიტორიალური ჯარის სისტემის შესახებ, 2. ცნობათა მაგიდის დაარსების შესახებ ასეულში და 3. მიმდინარე საკითხები.

ტერ-სისტემის შესახებ მოხსენება გააკეთა კლუბის გამგემ ამხ. კალანტაროვმა, რომელმაც ვრცლად გააშუქა მისი მნიშვნელობა საბჭოთა რესპუბლიკების ცხოვრების ეკონომიურ პოლიტიკურ და სამხედრო დარგში. მოხსენების შემდეგ გამოტანილი იქნა სათანადო რეზოლიუცია.

ცნობათა ბიუროებზე კი ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. გელაშვილმა. მან ყველასათვის გასაგებ ენით განმარტა ცნობათა მაგიდის მნიშვნელობა ასეულის ცხოვრებაში და მოუწოდა ყველას მიიღონ მონაწილეობა ასეულში ყოველგვარ გაუგებრობის აღმოფხვრაში.

მოხსენების შემდეგ კრებამ ამოირჩია ცნობათა მაგიდის გამგეობა სამი კაცისაგან შემდგარი და დაავალა მათ იმოქმედონ ენერგიულად, რაშიდაც ხელს შეუწყობს ასეულის თითეული წევრი.

მიმდინარე საკითხებში წამოჭრილი იქნა მრავალი საყურადღებო საკითხები.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ცვალებადელები, მცირე გამონაკლისით, შეგნებულად ეკიდებია თავიანთ მოვალეობას და გულდასმით მეცადინეობენ, თუმცა ისინი ნახევარჯერ მუშაობაში არიან ჩაბმულნი. არც ათისთავები ჰყავთ, როგორც სხვა ასეულებს, მაგრამ მიუხედავად ამისა სამხედრო მომზადების საქმეში მათ ბევრი რამ გააკეთეს მაინც. რაც შეეხება პოლიტსაათს და წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლას, მათშიც მრავლად დაიარებიან ამხანაგები და იქ მიღებული ყოველდღიური ცოდნით ძლიერ კმაყოფილი არიან.

ა. მკ—ძე.

## გაგვიხსენით კოოპერატივი.

2-რე არტლეგიონი.

ჩვენი ლეგიონი უკვე შეივსო ახალწვეული ცვალებადელებით. მუშაობა ლეგიონში გაჩაღებულია და რიგზე მიმდინარეობს. ჯერ-ჯერობით ნაკლულოვანებებს ადგილი არა აქვთ ჩვენს ცხოვრებაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ნაწილში არა გვაქვს კოოპერატიული დუქანი.

ლეგიონისთვის ეს დიდი დანაკლისია, რადგან ჩვენს არმიელებს თითეული უმნიშვნელო საგნის საყიდლად ბაზარში უხდებათ სირბილი.

ამას გარდა გვიხდება ყიდვა კერძო სავაჭროებში, რადგან არც ახლო მახლო მოიპოება კოოპერატიული სავაჭრო.

გარდა იმისა, რომ შორს გვიხდება სიარული, ორმაგად ვიხდით ყველაფერში და სხვა.

კარგი იქნება, რომ „ევკოგრუზი"-ს გამგეობა მხედველობაში მიიღებდეს ამ გარემოებას და გაგვიხსნიდეს ერთ კოოპერატიულ დუქანს.

სამხკორი ბ. კვაჭაძე.

## მე-5-თე ლეგ. ცხოვრებიდან.

ჩვენი ნაწილიც შეივსო ცვალებადელებით, რომელთა უმრავლესობას შეადგენს დასავლეთ საქართველოდან მოსული ახალგაზრდობა.

ლეგიონში ცვალებადელების მოსვლის მეორე დღიდანვე დაიწყო მუშაობა.

თავიდანვე დიდი ყურადღება იქნა მიქცეული სამხედრო საქმისაკენ. რომელსაც დიდი ინტერესით მოეკიდნენ ახალმოსულები. გავაცანით სამხედრო დისციპლინა და მისი მნიშვნელობა, და თუ როგორი წესრიგი უნდა დაიცვან ყაზარმაში ცხოვრების დროს.

ჯერჯერობით ყველაფერი ეს დიდი ზედმიწევნილობით სრულდება მათგან.

დისციპლინის დარღვევას არ ჰქონია ადგილი.

ყოველივე დავალებებს უყოყმანოთ ასრულებენ.

ცვალებადელებში ბევრია წერა-კითხვის უცოდინარები, მაგრამ მათთანაც სწარმოებს მეცადინეობა, რომელსაც დათმობილი აქვს დღეში სამი საათი.

ამხანაგები ძლიერ დაინტერესებული არიან და ძალიან კარგადაც ითვისებენ ყველაფერს. ასე რომ მათი უვადო შვებულებაში წასვლის დროს აღარ იქნება არც ერთი წითელ არმიელი, რომ მან წერა-კითხვა არ იცოდეს.

გაუმარჯოს მათი ენერგიულ მუშაობას.

სამხკორი წ. ა. რუსპირელი.

## შორს ასეთები ჩვენს რიგებიდან!

მეექვსე ტერლეგიონი.

მართლაც რომ ხელსაყრელი თანამდებობაა მოლარობა, თუ ქკუით იქნები და ისე მოიხმარ როგორც ჩვენი ლეგიონის მოლარემ ნიკოლოზ ქავთარაძემ მოიხმარა.

ტყუილად უსარგებლოდ ფულის კასაში შენახვას ის ამჯობინა, რომ „არტოში" წაეღო და „ბაქარა" ეთამაშა.

ნათქვამია ცდა ბედის მონახევრეაო"—ფიქრობდა: დროებით ხელს მოინაცვლებდა და მოიგებდა ცოტას მაინც.

მაგრამ დახეთ უბედურებას! 1300 თუ 1500 მან. ნაღდათ წააგო. ლეგიონის თავმა და სამხედრო კომისარმა ადრე გაუგეს ამ ვაჟბატონს მის მიერ ჩადენილი მოქმედება და იქ მიაბრძანეს, სადაც საჭირო იყო.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თუ არ ვცდები, მოქ. ქავთარაძე პირველად მსახურებს წითელ ჯარში და მისთვის ფრიად ავტორიტეტულ პიროვნებას აქვს მიცემული რეკომენდაცია. საჭიროა მასაც მოეთხოვოს პასუხი, რადგან როგორც გამოირკვა მოქ. ქავთარაძეს პროფესიათ ჰქონია გადაქცეული ბანქოს თამაში.

შორს ასეთი „კარტოჟნიკები" ჩვენი რიგებიდან, ისინი სცემენ წითელ არმიის პრესტიჟს. სასტიკი პასუხი მათ, ვინც ნებსით თუ უნებლიეთ ასეთეს ხელს უწყობს წითელი ჯარის რიგებში გაძრომას.

სამხკორი მიუდგომელი.

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა.

## ჩვენი საქმიანობა სოფლად.

პირვ. საარტ. ლეგ. სოფ მარტყოფში.

11 ივლისია. ჩვენს ლეგიონს რაღაც არაჩვეულებრივი მზადების ელფერი აზის. იწერება აფიშები, გადიან რეპეტიციებს, სამკითხველოს კარავში კი მიდის წიგნის კვირეულის ჩასატარებელი მუშაობა.

ლეგიონი მიდიოდა მის მზრუნველობის ქვეშ აყვანილ სოფ. მარტყოფში. ამიტომ სურდათ ყველაფერი თავის რიგზე ყოფილიყო, ყველაფერში კარგად მომზადებულიყვნენ.

დილა ჩატარდა ასეთი მზადებით.

რამოდენიმე ხნის შემდეგ კიდევაც გაიცა განკარგულება და კარვებიდან იწყეს გამოსვლა სამგზავროდ გამზადებულმა ამხანაგებმა.

ხუთ საათზე უკვე დანიშნულ ადგილზე ვიყავით. სიმღერით, მხიარული ყიჟინით შევედით სოფელში, რომლიდანაც გამოგვეგებენ აუარება გლეხები, ქალები, ბავშვები და სხვა.

მცირე ხნით შესვენების შემდეგ, გავემართედ ადგილობრივი თეატრისაკენ, რომელსაც აუარება ხალხი მოაწყდა. გაიხსნა საზეიმო კრება, მისასალმებელი სიტყვებით, ხოლო შემდეგ კი შეფობის მნიშვნელობაზე ვრცელი სიტყვა სთქვა ამხ. დემეტრაშვილმ. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დღემდე ჩვენსა და სოფელ შორის არსებობდა დამოკიდებულება, მაგრამ განსაკუთრებით დღეიდან იწყება საშეფო სოფელზე ჩვენი მზრუნველობის გამოცოცხლება და სხვა. ასეთივე სიტყვებით გამოვიდენ მრავალი წითელ არმიელები, რომლებსაც მხურვალე ოვაციებით შეეგებენ გლეხები.

ამის შემდეგ დაიწყო მოხსენებები წიგნის კვირეულზე, 14-ე პარტკონფერენციის მუშაობის შესახებ და განსაკუთრებით განხილული იქნა კონფერენციის რეზოლიუციები, სასოფლო სამეურნეო გადასახადების შესახებ.

ყველა მოხსენებებზე მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია ერთხმად.

საბოლოო სიტყვა მიეცა ადგილობრივი გლეხობის წარმომადგენელს, რომელმაც ხაზი გაუსვა თუ რა მნიშვნელობა აქვს ქალაქის სოფელთან ასეთ მისვლას, ჯარის ყოფა-ცხოვრების გაცნობას და სხვა.

კრება დაიხურა ხანგრძლივი ოვაციებით და ხშირად გაისმოდა გლეხების შეძახილი:

—გაუმარჯოს ჩვენს წითელ ჯარსო.

ამის შემდეგ წავიდა წარმოდგენა და დივერტისმენტი, რამაც ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა გლეხებში.

კარგი იქნება ხშირად მოვინახულებდეთ ამ სოფელს და ასეთი ხასიათის მოხსენებებს თუ წარმოდგენებს ხშირხშირად გავმართავდეთ იქ.

სამხკორი ა. გამსახურდია.

## მიზანში სროლა წარმატებით ჩატარდა.

პირველი ლეგ. საკავშირო გუნდი.

7 ივლისს ლეგიონის საკავშირო გუნდის წითელ არმიელები გაყვანილ იქნენ მიზანში სროლის საწარმოებლად. სროლა შესდგა საგარნიზონო სასროლზე და სწარმოებდა სამხაზიანი შაშხანა თოფებით.

სასროლო მანძილი განსაზღვრული იყო 250 მეტრით.

არმიელები მოუთმენლად მოელოდენ სროლის დაწყებას. ყველას იმედი ჰქონდა საკუთარი თავის და სიმართლე უნდა ითქვას კიდევაც გაამართლეს ეს იმედები.

სროლა ფრიად დამაკმაყოფილებლად იქნა ჩატარებული. შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა.

საქმისადმი ასეთი მუყაითი და უნარიან მოპყრობა იმედს იძლევა, რომ მომავალში გაცილებით უფრო დიდ შედეგებს მივიღებთ და ჩვენს არმიელებს საუკეთესო მსროლელ ნაწილებთანაც კი შეუძლიათ გავიდენ შეჯიბრში.

სამხკორი ს. მეფარიშვილი.

## ბანაკში დიდ მომზადებას ვიძენთ.

პირვ არტ-ლეგიონის მეთაურთა სკოლა.

ყველა ნაციონალურ საარტილერიო ლეგიონების ერთ ბანაკში თავის მოყრას დიდი მნიშვნელობა მიეცა და დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენთვის.

ქართველი წითელ არმიელები დაწვრილებით ვეცნობით, რუსების, სომხების და აღერბეიჯანელების ნაწილების ყოფა ცხოვრებას, მათ ზნეჩვეულებებს და ბოლოს ძლიერ უახლოვდებით და უმეგობრდებით ერთმანეთს.

ხშირად ვმართავთ საღამოებს და წარმოდგენებს გაერთიანებული ძალებით.

გვიხდება ერთმანეთის გამოკითხვა იმაზედაც, თუ ვინ როგორი კმაყოფილია წრევანდელი საბანაკო ცხოვრებით.

ყველას აზრი ისეთია, რომ ცხლანდელი ბანაკობა გაცილებით უფრო საინტერესო და ნაყოფიერია გასული წლეებისაზე. და ეს ერთი შეხედვითაც სჩანს.

უმეტესი ყურადღება მიქცეული აქვს სამხედრო საქმეში მომზადებას და პოლიტიკურად განვითარებას.

ხშირად სწარმოებს ბანაკში ღამით სროლები, პოზიციების დაზვერვა და სხვა რაც ძლიერ ახელოვნებს არმიელებს თავის სპეციალურ საქმეში.

საერთოდ სკოლის არმიელები დიდი ინტერესით ეკიდებიან მთელ ლეგიონთან ერთად მეცადინეობას და უნდა ვიფიქროთ, რომ ბანაკიდან დაბრუნებულებს მიღებული ექნებათ თავის სპეც საქმეში საჭირო ცოდნა და გამოცდილება.

ახკორი რიონისპირელი.

## საშეფო სოფელში

სამხედრო პოლიტ. სკოლა.

კვირას, 12 ივლისს დილით ადრე შეუდექით ბანაკიდან სოფელ დიდ თონეთისკენ მიმავალ აღმართიან გზატკეცილს. მიგვაქვს წიგნები, გაზეთები და სხვა წვრილმანი საჩუქრები პოლიტ-ანკესისთვის... 10 საათზე უკვე იქა ვართ.

ღარიბი სოფელი. ქვიტკირის-ულამაზოთ ნაგები სახლები. ალაგ-ალაგ შიდა სოფელში სიბინძურეა. ირგვლივ მწირ მიწაზე შეყვითლებული პურის ყანა... შორს ლამაზი, ცის ფერათ შეფერილი მაღალი მთები... ზოგი მათგანი ტყით დაბურული...

ცის ტატნობზე აჩორჩხლილი სომხეთის მთის მწვერვალები. სოფელში ხელოვნურად გამოყვანილი წყლის მილი. აქაურ სოფლებისთვის დამახასიათებელი დიდრონი ხის როფები—თონეთში ქვის მოგრძო აუზათ იქცევა, რომელშიდაც წყალს სვამს პირუტყვი...

თემის საბჭოს წინ, ხის ჩრდილში ახალგაზრდა ყმაწვილები მოგროვილან და მსჯელობენ. მივედით თუარა მოგვეხვივნენ და დავიწყეთ საუბარი.

— ხორბალი სამყოფი მოგდით?

— არა ამხანაგო, ვყიდულობთ სულ.

— ჯოგი გყავთ?

— არა!.. მხოლოდ ზოგსა ყავს 2—3 ძროხა, ხარები ნახევარს არა ყავთ!

— რითი ირჩენთ თავს, რომელ თანხიდან ყიდულობთ პურს?

— დღიურ ქირაზე დავდივართ ჯეელები გენაცვა, ხან მარნეულში, ხან გორისაკენ, ალბულახში... აქ კიდევ გზატკეცილისთვის ქვებს ვამტვრევთ და ასე ვცხოვრობთ!..

პატარა ხანს იქეთ ქვემოთ, შუა სოფელში დოლისა და სალამურის მომხიბლავი დუდუნი შემოგვესმა... იქეთ გავემართეთ ავერ, სახლის ჩრდილ ქვეშ შეკრებილან გოგო-ბიჭები და ცეკვავენ. ირგვლივ ტაში...

რამოდენიმე ხნის შემდეგ მოვაწყვეთ ლატარეა, დავარიგეთ წიგნები და გაზეთები, მაგრამ წერა-კითხვის მცოდნე ძალიან ცოტაა. ჯერ კიდევ დიდი მუშაობაა სოფლად საჭირო.

ჩვენმა მისვლამ დიდი სიხარული გამოიწვია და დავპირდით, რომ უკეთეს საჩუქრებით მოვალთ შემდეგ!..

გ. შ.

# პარტიული ცხოვრება.

## მე-6-ე ტერლეგიონის მე-3-ე ათასეული.

ათასეული უკვე მოეწყო ყაზარმებში და დაიწყო ნორმალური ცხოვრება. ყველა ასეულებში დაარსდა კომუჯრედები, რომლებიც შეუდგენ თავიანთ მუშაობას და გეგმის განხორციელებას.

3 ივლისს მოწვეულ იქნა ყველა ასეულების უჯრედების ღია კრებები ცალ-ცალკე. მე-8-ე ასეულის № 10 უჯრედის უფ-პოლიტ და ტერ-არმიელთა ღია კრებას დაესწრენ, როგორც პარტიული, ისე უპარტიო ტერ-არმიელებიც. ყველა ასეულის უჯრედებში იქნა გაკეთებული მოხსენებები: კოოპერაციის მნიშვნელობაზე და შანხაისა და მაროკოში მომხდარ ამბებზე, რამაც ძლიერ დააინტერესა ტერ-არმიელები.

მიმდინარე საკითხებში წამოყენებულ იქნა ღარიბ ტერ-არმიელთა ოჯახების დახმარება შაბათობის სახით, რაც კრებამ მოიწონა და დაადგინა მიიღოს ყოველგვარი ზომები მის სისრულეში მოსაყვანად.

პარტკორი დ ჩიკვიძე.

## პარტკომისია ჩვენს კომუჯრედში.

### მეთაურთა გაერთიანებული სკოლის 1-ლი კომუჯრედი.

ივნისის უკანასკნელ რიცხვებში ჩვენს სკოლას ეწვია ქართული დივიზიის პარტმუშაობის შემფასებელი—პარტკომისია, რომელსაც უნდა მოეხდინა სკოლის პარტამხანაგების შესწავლა, მათი პარტმომზადების დონის გამორკვევა, და სხვა.

პირველად კომისიამ მოახდინა სკოლის პირველი კომუჯრედის შემოწმება. პარტკომისიამ ძლიერ მაგრად მოჰკიდა ხელი, როგორც ეს მას ჩვევია ყოველთვის.

უჯრედში თითეულ წევრს განაწილებული აქვს მუშაობა და ყოველთვის ვალდებულად ხდიდენ თავს პასუხი ეგოთ ამ საქმეებში. ამის გამო ყველა თითქმის სათანადოთ მომზადებული შეხვდენ გამოცდებს, რომელმაც დამაკმაყოფილებელი შედეგები დასტოვა.

პარტკომისიის მიერ უჯრედის გადასინჯვის შემდეგ მოწვეული იქნა უჯრედის გაერთიანებული კრება, რომელზედაც წაკითხული იქნა პარტკომისიის დადგენილება უჯრედის თითეული წევრის შესახებ. დადგენილებაში გარკვევით იყო აღნიშნული ყველა დადებითი და უარყოფითი მხარეები და საჭირო მითითებებს აძლევდა თითეულ წევრს.

ამ გარემოებამ კი უფრო გამოაცოცხლა მუშაობა, რადგან აშკარად დავინახეთ ყველა ჩვენი შეცდომები.

შემდეგ კრებამ მოისმინა კომუჯრედის მდივნის მოხსენება მისი მუშაობის შესახებ.

ამხ. ვრცლად შეეხო იმას, თუ როგორი ხელმძღვანელობას უწევდა ბიურო თითეული პარტწევრის მუშაობას და როგორ ასრულებდენ ისინი ყოველგვარ დავალებებს. აღნიშნა ბიუროს ხელმძღვანელობა ახკომკავშირზე, რემედასის, საჰაერო ფლოტის და ქიმმოყვარეთა უჯრედებზე.

შემდეგ ამხანაგი შეეხო ყველა ორგანიზაციებთან მიმაგრებულ ამხანაგების მუშაობას და მოუწოდა მათ მეტი საქმიანობისაკენ.

მოხსენება დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი და არჩეული იქნა ახალი ბიუროს შემადგენლობა.

დაბოლოს კრებამ გაარჩია პარტიაში გადასარიცხავ ამხანაგების განცხადებები. მიღებული იქნენ წევრებად 4 ამხანაგი.

პარტკორი ი. ნაფეტვარიძე.

## გამოძახილი ჩვენს შენიშვნებზე.

### მიღებულია ზომები.

ნომერ 139 (837)-ში მოთავსებულ შემჩნევაზე „მოგვეცით აბანო" დივშტაბმა მოსთხოვა ახსნა-განმარტება ცალკე საკავშირო ასეულის თავს. იქიდან მიღებულ პატაკიდან № 821 სჩანს, რომ ზომები ყველა წითელ არმიელების აბანოში გასატარებლად მიღებული იყო დროზე, დაბრკოლებები იმაში გამოიხატებოდა, რომ აბანოში სწარმოებდა შეკეთება ერთი კვირის განმავლობაში. შეკეთებისთანავე ასეულის წითელ არმიელები გატარებული იქნენ აბანოში პირველ რიგში.

დივიზიის შტაბის სამნ. ნაწ. უფროსი გ. უუფარაძე.

## საჭიროა წესრიგის დაცვა.

### პირვ. ლეგიონის 2-რე ასეული.

ასეულში მოეწყო მშვენიერი სასადილო.

ყველაფერი თავის რიგზეა შიგ. სადილები კარგი მზადდება, მაგრამ სამწუხაროდ ზოგიერთი წითელ არმიელები ვერ იქცევიან წესიერად.

ყოველ სადილ-ვახშმის დროს სასადილოში საშინელ ხმაურობას და ყვირილს აქვს ადგილი ზოგიერთ ამხანაგების მიერ, რომლითაც ხელს უშლიან დანარჩენ არმიელებს, რომ თავისუფლად და წყნარად ისადილონ და ივახშმონ.

ასეთი საქციელს ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოეღოს ბოლო ამხანაგებში.

ახალწვეული დედანა.

## მე-6-ე ტერ-ლეგიონის ბიბლიოთეკა.

### წიგნის კვირეულის გამო.

ჩვენი ტერ-ლეგიონის ბიბლიოთეკა-სამკითხველო ფაქტიურად არსებობს ლეგიონის დაარსების პირველ დღიდან, ე. ი. 1924 წლის აპრილის თვიდან.

თავდაპირველად დივიზიის საბიბლიოთეკო ბაზიდან მიღებულ იქმნა წიგნები და ჟურნალ-გაზეთები სულ 433 ცალი, რომელთა შორის 65 პროცენტი იყო ქართულ ენაზე, დანარჩენი 35 პროც. კი რუსულ ენაზე. მკითხველთა რიცხვი ბიბლიოთეკის დაარსების პირველ თვეებში უდრიდა სულ 43 კაცს. მათ შორის 28 წითელ-არმიელები იყო, ხოლო უფ-პოლიტ შემადგენლობა კი 15 კაცი.

წიგნების რიცხვი ვერ აკმაყოფილებდა მკითხველების მოთხოვნილებას და ამიტომ ბიბლიოთეკამ თავისი საკუთარი საბიბლიოთეკო თანხიდან შეიძინა სხვა და სხვა საჭირო წიგნები და ჟურნალ-გაზეთები.

ამ ჟამად ქართული და რუსული წიგნების რიცხვი უდრის სულ 2247 ცალს, მათ შორის 531 ცალი რუსული წიგნებია, დანარჩენი კი ქართული.

ტეხნიკურად ბიბლიოთეკაში ყველა წიგნები დამუშავებულია ათწილად კლასიფიკაციის მიხედვით. მათი შესანახავი შკაფებიც საკმაო გვაქვს. ერთ ოთახში მოთავსებულია ბიბლიოთეკა, ხოლო მეორეში სამკითხველო. ორთავენი კი ლამაზად არიან მორთული.

გვაქვს მშვენივრად მოწყობილი ლენინის კუთხე შემდეგი მთავარი განყოფილებებით: 1) სასოფლო-სამეურნეო, 2) ჯანმრთელობის, 3) სპორტიული, 4) სამხედრო და 5) სამხ.სამეცნიერო წრის, რომელთა წინ პატარა თაროებზე გამოფენილია თვითეულ განყოფილების შესაფერი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები.

ლეგიონის ბიბლიოთეკას დივიზიის პოლიტ-განყოფილება აწვდის მხოლოდ გაზ. „წითელ არმიელს" 80 ცალს. ეს ვერ აკმაყოფილებდა მკითხველთა მოთხოვნილებას და ამისათვის საბიბლიოთეკო თანხიდან გამოწერილ იქნა ყოველ-თვიურად სხვა ჟურნალ-გაზეთები ყველა ენებზე. გარდა ამისა ლეგიონის უფპოლიტ-შემადგენლობას ბიბლიოთეკის საშუალებით ინდივიდუალურად გამოწერილი აქვთ როგორც თბილისის, ისე ცენტრალური ჟურნალ-გაზეთები.

როგორც ვხედავთ დღეს-დღეობით ლეგიონის ბიბლიოთეკა წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით საკმაოთ მდიდარია. ამას ზედ დაუმატოთ სომხური და თათრული წიგნები, რომლებიც მიღებულ იქნენ დროებით სახმარებლად ამხ. შაუმიანის სახელობის და ამ. კავკ. კომუნისტური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებიდან ცვალებადელთა გამოწვევის შემდეგ, რადგან მათ შორის შეხვდებით სხვა და სხვა ეროვნებების წარმომადგენლებს. წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების რიცხვის გადიდებასთან ერთად იმატა მკითხველთა რიცხვმაც, განსაკუთრებით 1902 წელში დაბადებულ ცვალებადელთა გამოწვევის შემდეგ. დღეს ჩვენს ბიბლიოთეკას ჰყავს სულ მუდმივი მკითხველი 301 კაცი. მათ შორის ძირითადი წით. არმიელები—215 კაცი, ცვალებადელები—60 კაცი, ხოლო დანარჩენი 36 კაცი უფ-პოლიტ-შემადგენლობა.

ცვალებადელთა რიცხვის სიმცირე აიხსნება მით, რომ ისინი უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარები არიან, ხოლო უფ პოლიტ-შემადგენლობას ვერ აკმაყოფილებს ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები და ისინი სარგებლობენ დივიზიის ცენტრალური ბიბლიოთეკიდან.

1902 წელში დაბადებულ ცვალებადელთა შეკრებამდე პროვინციებში არსებობდა 4 მოძრავი ბიბლიოთეკა, რომელთაც ლეგიონის ბიბლიოთეკა აკმაყოფილებდა შეძლების დაგვარად. თვითეულ მათგანს ეძლეოდა არა ნაკლები 150 ცალი წიგნისა, რომლებიც წაკითხვის შემდეგ უბრუნდებოდა ლეგიონს და იგზავნებოდა ახალი წიგნები.

ლეგიონის ბიბლიოთეკაში არსებობს მკითხველთა ბირთვი 15 კაცისაგან შემდგარი, რომლებიც კვირაში ორჯერ ლენინის კუთხეებში ყველა ნაციონალურ ენებზე აწარმოებენ გაზეთების და წიგნების ხმამაღალი კითხვას. სწარმოებს მეცადინეობა ასეულის ბიბლიოთეკებთან საბიბლიოთეკო დარგში კვირაში ერთხელ. დაარსებულია სკოლის გარეშე მუშაობის სპეციალური მოსამზადებელი კურსები 30 კაცის შემადგენლობით ძირითად და ცვალებად წითელ არმიელებიდან. ლეგიონში ყოველგვარი პარტ-პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობას ბიბლიოთეკა ყოველგვარ დახმარებას უწევს სათანადო ლიტერატურის მიწოდებით და ლოზუნგების და პლაკატების შედგენით.

სამოქალაქო ბიბლიოთეკებთან, როგორც არიან: ამხ. შაუმიანის და სუხიშვილის სახელობის, ამიერ კავკასიის კომ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებთან მჭიდრო კავშირი გვაქვს გაბმული, რაც გამოიხატება, როგორც ზევით აღვნიშნეთ, სხვა ნაციონალურ ენებზე აუცილებელი ლიტერატურის მიწოდებით.

სამხკორი ნ. ახათიანი.

## ამბები სოფლებიდან.

**მიმოსვლის საჭიროებისათვის.**

ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა გადასცეს სამაზრო სამხ. კომისარიატს ერთი ცხენი მიმოსვლის საჭიროებისათვის.

**ხელისუფლების დასაახლოვებლად გლეხობასთან.**

შორაპნის აღმასკომმა გადასწყვიტა სამაღმასკომის პლენუმები ამიერიდან მოიწვიოს მაზრის სხვა და სხვა პუნქტებში. მორიგი პლენუმი გაიმართება ხარაგოულში.

**საჭიროა საექიმო პუნქტი.**

სოფ. თავასის (შორ. მაზრის) თემაღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა ადგილობრივ საექიმო პუნქტის გახსნის შესახებ.

**სკოლების გასახსნელათ.**

სოფ. ვახანში და ლელევანში (შორაპ. მაზრა) გადაწყვეტილია დაარსდეს 4 წლიანი შრომის სკოლები მომავალი სამოსწ. წლიდან.

**საგზაო კომისიები.**

ზუგდიდის სამაზრო აღმასკომის მიწერილობით ყველა სოფლებში შესდგა საგზაო კომისიები, რომლებმაც უნდა ითავონ სასოფლო გზების შეკეთება-გაყვანა.

## ახალი ამბები.

— **კომუჯრედის სხდომა.** დღეს საღამოს პოლიტგანყოფილების შენობაში მოწვეულია პოლიტ-განყოფილების კომუჯრედის სხდომა. დასწრება უპარტიოებსაც შეუძლიათ.

— **ფოსტა ტელეგრ.** მუშაკთა ყრილობა მოწვეულია და გაიხსნება 27 ივლისს ტფილისში.

— **ჯამაგირის გადიდება.** ტყავტრესტის ფეხსაცმელების საკერავ ქარხანაში მომუშავე მუშებს ჯამაგირი გაუდიდდათ 15 პროცენტით.

— **ახალი ქარხანა.** ბამბის ქარხნის დირექციამ დაადგინა ჰიგროსკოპიული ბამბის საკეთებლათ გახსნას ახალი ქარხანა.

— **დახმარება უმუშევრებს.** ივნისის განმავლობაში ტფ. დამხლ. კასამ გასცა დაზღვეულ უმუშევართა დასახმარებლათ 12.558 მ. 51 კაპ.

— **გლეხკომების მუშაობის** გამოკვლევისა და გაცხოველების მიზნით, საქ. გლეხკომების ცენტ. კომიტეტმა სიღნაღისა და თელავის მაზრებში გაგზავნა თავის წარმომადგენელი.

— **ახალი ტიპის ღუმელები.** გლეხკომების ცენტრ. კომიტეტმა გადასწყვიტა ხელი შეუწყოს საქართველოში რუსეთში ახლათ გამოგონებული, იაფი და ეკონომიური ღუმელების გავრცელებას.

— **ბამბის კამპანია.** შინავაჭრობის კომისარიატი შეუდგა გეგმის შედგენას მომავალ ბამბის კამპანიის ჩასატარებლად.

— **სამეურნეო იარაღების შეძენა.** წარმოკავშირმა შეიძინა ვერმორელის სისტემის 100 აპარატი ვაზის საექიმოდ.

— **მეთამბაქოობის ახალორძინებლათ.** გადაწყვეტილია დახმარება აღმოეჩინოთ 1-ლ რიგში იმ რაიონების მეთამბაქოებს, სადაც მეთამბაქოობა დაცემის გზაზეა.

## ხელოვნება.

— **წითელი არმიის და ფლოტის ბაღი.** დღეს ხუთშაბათ საღამოს სინათლის გაზეთის მორიგი ნომერი. ტირში—პრაქტიკული სროლა და ცირკის არტისტების გამოსვლა.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქ. მ. ლეგიონის მე 2-რე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიაში კანდიდატებად მიღების შესახებ ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს, რომელთა შესახებ თუ ვისმეს მოეპოებათ რაიმე საწინააღმდეგო მათი პარტიაში მიღების შესახებ, ვთხოვთ გვაცნობონ შემდეგი მისამართით: **1-ლი ლეგიონის საზამთრო ყაზარმაში მე 2-რე ასეულის კომუჯრედში.**

1) ალექსანდრე მიხეილის-ძე ლაღიძე 2) დავით არტემის-ძე ვერულაშვილი და 3) ვასილ იოსების-ძე ვაშაკიძე. ყველა ზემოხსენებული წ. მოლაშქრენი არიან უპარტიო.

მე 2-რე ასეულის კომუჯრედის პ.-მ მდივანი ი. სილაგაძე.

1-ლ ქართ. მსრ. ლეგ. სკოლის კომუჯრედში აქვს შემოტანილი განცხადება წით. მოლაშქრე კოტე ლუკას-ძე დარჩიას, რომელიც თხოულობს კომპარტიის კანდიდატათ ჩარიცხვას. თუ ვისმე აქვს საწინააღმდეგო ამ ამხანაგის პარტიაში მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

**1-ლ ქართ. მსრ. ლეგიონის სკოლის კომუჯრედში.**

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

**დაკარგე** საკანდიდატო ბარათი № 2475 გაცემული ქართ. დივიზიის პარტკომისიის მიერ და წლიური პირადობის მოწმობა № 891 გაცემული სამხ. პოლიტ. სკოლის მიერ, ელიოზ ხუციშვილის სახელზე ჩაითვალონ გაუქმებულად.